



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ხშირად დასმული კითხვები



სარჩევი

I. საინვესტიციო ფონდები	4
1. რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს იურიდიულმა პირმა ან სახელშეკრულებო სქემამ იმისთვის, რომ იგი დაკვალიფიცირდეს საინვესტიციო ფონდად?	4
2. ვისზე არ ვრცელდება კანონი?	4
3. რა შემთხვევაში ითვლება საინვესტიციო ფონდი საქართველოში დაფუძნებულად?	5
4. რომელი სუბიექტი იღებს ერთობლივი საინვესტიციო ფონდის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას? ..	5
5. რომელი სუბიექტი იღებს საინვესტიციო კომპანიის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას?	5
6. რა კატეგორიებად იყოფა საინვესტიციო ფონდები საქართველოში?	6
7. რა ითვლება საინვესტიციო ფონდის ერთეულის საჯარო შეთავაზებად?	6
8. რა ითვლება საინვესტიციო ფონდის ერთეულის კერძო შეთავაზებად?	6
9. რა განსხვავებაა საინვესტიციო კომპანიასა და ერთობლივ საინვესტიციო ფონდს შორის?	6
10. რა სამართლებრივი ფორმით შეიძლება დაფუძნდეს საქართველოში საინვესტიციო კომპანია?	7
11. რა არის UCITS?	7
12. რა სახის საინვესტიციო ფონდი ითვლება ქოლგისებრ საინვესტიციო ფონდად?	7
13. რა შემთხვევაში ჩაითვლება საინვესტიციო ფონდი ღია საინვესტიციო ფონდად?	7
14. რა შემთხვევაში ჩაითვლება საინვესტიციო ფონდი დახურულ საინვესტიციო ფონდად?	7
15. რა შემთხვევაში ჩაითვლება საინვესტიციო ფონდი ინტერვალურ საინვესტიციო ფონდად?	8
16. რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს უცხოური საინვესტიციო ფონდი იმისთვის, რომ საქართველოში შეძლოს აღიარების მოპოვება და მიეცეს საჯარო შეთავაზების განხორციელების უფლება?	8
17. რა არის საჭირო უცხოური საინვესტიციო ფონდის მიერ საქართველოში კერძო შეთავაზების განსახორციელებლად?	9
18. ვინ მიიჩნევა გათვითცნობიერებულ ან გაუთვითცნობიერებელ ინვესტორად?	9
19. ახორციელებს თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი ინიციატივით საინვესტიციო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის ავტორიზაციას/რეგისტრაციას/ლიცენზირებას/აღიარებას?	9
20. რა ტერმინების გამოყენება არ შეიძლება სახელწოდებაში, თუ პირი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს?	9
21. შეუძლია თუ არა საინვესტიციო ფონდს საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში გაცეს სესხი/სესხები? ..	10
22. შესაძლებელია თუ არა ღია ან ინტერვალური საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით დაწესდეს, გამოსყიდვის შესაბამისი პერიოდისათვის, გამოსასყიდი ერთეულების ზღვრული ოდენობა (ე. წ. redemption gate)?	10



II. აქტივების მმართველი კომპანია 11

23. რა შემთხვევაში ითვლება აქტივების მმართველი კომპანია საქართველოში დაფუძნებულად? 11

24. რა შემთხვევაში შეიძლება მართოს უცხოურმა აქტივების მმართველმა კომპანიამ საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო ფონდი? 11

25. რა უფლებამოსილებები ენიჭება ლიცენზიის მქონე აქტივების მმართველ კომპანიას? 11

26. რა ტერმინების გამოყენება არ შეიძლება სახელწოდებაში, თუ პირი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს? 11

III. სპეციალიზებული დეპოზიტარი 12

27. რა ფუნქცია აქვს სპეციალიზებულ დეპოზიტარს? 12

28. რომელ საინვესტიციო ფონდს უნდა ჰყავდეს სპეციალიზებული დეპოზიტარი? 12

29. რომელი სუბიექტი შეიძლება იყოს სპეციალიზებული დეპოზიტარი? 12

30. როგორ ინახავს სპეციალიზებული დეპოზიტარი გადაცემულ აქტივებს? 12

31. რას მოიცავს სპეციალიზებული დეპოზიტარის კონტროლის ფუნქციები? 12

IV. ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები 13

32. საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული რა ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებას აწესებს კანონი? 13

33. რას წარმოადგენს ინვესტორთათვის განკუთვნილი საკვანძო ინფორმაცია (KIID)? 13

34. რა პერიოდულობით ქვეყნდება საინვესტიციო ფონდის ერთეულების გამოშვების და გამოსყიდვის ფასები? 13

V. მოსაკრებლები 14

35. რა ოდენობის მოსაკრებლის გადახდაა საჭირო საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციისთვის ან რეგისტრაციისთვის? 14

36. რა ოდენობის მოსაკრებლის გადახდაა საჭირო აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირებისთვის ან რეგისტრაციისთვის? 14

მნიშვნელოვანი ინფორმაცია: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს კანონმდებლობის ოფიციალურ ინტერპრეტაციას ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები ეფუძნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ერთობლიობის ანალიზს, რისი გათვალისწინებითაც მოცემულ დოკუმენტში გამოთქმული ცალკეული მოსაზრება შეიძლება არ დაემთხვეს კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას.



I. საინვესტიციო ფონდები

1. რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს იურიდიულმა პირმა ან სახელმეკრულებო სქემამ იმისთვის, რომ იგი დაკვალიფიცირდეს საინვესტიციო ფონდად?

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) თანახმად, საინვესტიციო ფონდი არის კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც ინვესტორებისგან იზიდავს კაპიტალს, რათა აღნიშნული კაპიტალის ინვესტირება განახორციელოს განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად, ინვესტორების სასარგებლოდ.

საინვესტიციო ფონდის ცნების მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ იგი უნდა იყოს კოლექტიური საინვესტიციო სქემა. კანონით დადგენილია კრიტერიუმები, რომლებსაც ჩვეულებრივ უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი ან სახელმეკრულებო სქემა, რათა იგი დაკვალიფიცირდეს კოლექტიურ საინვესტიციო სქემად, კერძოდ:

- 1) იურიდიულ პირს ან სახელმეკრულებო სქემას არ უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივი სამეწარმეო ან ინდუსტრიული საქმიანობის განხორციელების მიზანი;
- 2) იურიდიული პირი ან სახელმეკრულებო სქემა უნდა აერთიანებდეს ინვესტორებისგან მოზიდულ კაპიტალს, მისი ინვესტირების შედეგად ინვესტორებისთვის საერთო მოგების გენერირების მიზნით;
- 3) იურიდიული პირის ან სახელმეკრულებო სქემის ინვესტორებს კოლექტიურად არ უნდა ჰქონდეთ ყოველდღიური მართვის განხორციელების ან გადაწყვეტილების მიღების უფლება.

კანონის თანახმად, სავალდებულოა ზემოაღნიშნული სამივე კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილება იურიდიული პირის ან სახელმეკრულებო სქემის კოლექტიურ საინვესტიციო სქემად მიჩნევისათვის.

2. ვისზე არ ვრცელდება კანონი?

საინვესტიციო ფონდების მარეგულირებელი ჩარჩო არ ვრცელდება:

- 1) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებზე, უცხო ქვეყნის ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ან საპენსიო სისტემების ფონდებს მართავენ;
- 2) პოლდინგურ კომპანიებზე;
- 3) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ საპენსიო სქემებზე;
- 4) საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე;
- 5) სეკურიტიზაციისთვის განკუთვნილ სპეციალური მიზნის მქონე წარმონაქმნზე;
- 6) საქართველოს ეროვნულ ბანკსა და უცხო ქვეყნის ცენტრალურ ბანკზე (გარდა სპეციალიზებულ დეპოზიტართან დაკავშირებული მოთხოვნებისა).



3. რა შემთხვევაში ითვლება საინვესტიციო ფონდი საქართველოში დაფუძნებულად?

საინვესტიციო ფონდი ითვლება საქართველოში დაფუძნებულად, თუ იგი კანონის საფუძველზე ავტორიზებული ან რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

კანონით სავალდებულოა იურიდიული პირის ან სახელმწიკრულებო სქემის საინვესტიციო ფონდად ავტორიზაცია ან რეგისტრაცია, თუ მას აქვს საქართველოში რეგისტრაციის ან მართვის ადგილი და ახორციელებს საინვესტიციო ფონდის საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში ავტორიზაცია/რეგისტრაცია სავალდებულოა იმის მიუხედავად, არიან თუ არა საინვესტიციო ფონდის ინვესტორები საქართველოს რეზიდენტები ან ახორციელებს თუ არა საინვესტიციო ფონდი საქართველოში ინვესტიციებს.

4. რომელი სუბიექტი იღებს ერთობლივი საინვესტიციო ფონდის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას?

ერთობლივი საინვესტიციო ფონდის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აქტივების მმართველი კომპანია, რომელიც თავადვე ამტკიცებს ერთობლივი საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტს. ერთობლივ საინვესტიციო ფონდს შეუძლია საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ აქტივების მმართველი კომპანიის განცხადების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი ავტორიზაციის ან რეგისტრაციის მომენტიდან.

5. რომელი სუბიექტი იღებს საინვესტიციო კომპანიის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას?

საინვესტიციო კომპანიის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მისი პარტნიორები/აქციონერები. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების ხმის უფლების მქონე პარტნიორებმა/აქციონერებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება კომპანიის საინვესტიციო ფონდად გარდაქმნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში განცხადებას საინვესტიციო კომპანიის ავტორიზაციის ან რეგისტრაციის თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს თავად კომპანიის უფლებამოსილი პირი ან აქტივების მმართველი კომპანია.

საინვესტიციო კომპანიას უფლება აქვს საინვესტიციო ფონდის საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი ავტორიზაციის ან რეგისტრაციის მომენტიდან.



6. რა კატეგორიებად იყოფა საინვესტიციო ფონდები საქართველოში?

საჯარო შეთავაზებაზე უფლებამოსილი საინვესტიციო ფონდი:

1) ავტორიზებული საინვესტიციო ფონდები, რომლებიც მოიცავს:

- მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტირების ფონდს (UCITS); და
- გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდს.

2) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული უცხოური საინვესტიციო ფონდი.

კერძო შეთავაზებაზე უფლებამოსილი საინვესტიციო ფონდი:

1) რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი;

2) უცხოური საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკს წინასწარ შეატყობინებს შეთავაზების განხორციელების თაობაზე.

7. რა ითვლება საინვესტიციო ფონდის ერთეულის საჯარო შეთავაზებად?

საჯარო შეთავაზებად მიიჩნევა საინვესტიციო ფონდის ერთეულების 20-ზე მეტი გაუთვითცნობიერებელი (საცალო) ინვესტორისთვის ან წინასწარ განუსაზღვრელი რაოდენობის პირებისთვის შეთავაზება.

საჯარო შეთავაზების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ავტორიზებულ/აღიარებულ საინვესტიციო ფონდებს.

8. რა ითვლება საინვესტიციო ფონდის ერთეულის კერძო შეთავაზებად?

კერძო შეთავაზებაა საინვესტიციო ფონდის ერთეულების ნებისმიერი შეთავაზება, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას.

რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდებს შეუძლიათ მხოლოდ კერძო შეთავაზების განხორციელება.

9. რა განსხვავებაა საინვესტიციო კომპანიასა და ერთობლივ საინვესტიციო ფონდს შორის?

საინვესტიციო კომპანია არის საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც იურიდიული პირი და უფლებამოსილია თავადვე მართოს საკუთარი საინვესტიციო პორტფელი, აქტივების მმართველი კომპანიის გარეშე. თუმცა, თუ საინვესტიციო კომპანია დანიშნავს აქტივების მმართველ კომპანიას, ეს უკანასკნელი განდება საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციების განმახორციელებელი პირი.

ერთობლივი საინვესტიციო ფონდი არის საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც სახელშეკრულებო სქემა, იურიდიული პირის შეუქმნელად; ერთობლივ საინვესტიციო ფონდს აფუძნებს, მართავს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისი აქტივების მმართველი კომპანია.



10. რა სამართლებრივი ფორმით შეიძლება დაფუძნდეს საქართველოში საინვესტიციო კომპანია?

სააქციო საზოგადოების ფორმით შეიძლება შეიქმნას საინვესტიციო კომპანია, რომელიც არის:

- მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტირების ფონდი (UCITS);
- გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდი;
- რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) და კომანდიტური საზოგადოების (კს) ფორმით შეიძლება შეიქმნას მხოლოდ რეგისტრირებული საინვესტიციო კომპანია.

11. რა არის UCITS?

მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტირების ფონდი ანუ UCITS არის ავტორიზებული ღია საინვესტიციო ფონდი, რომლის ერთადერთი მიზანია საჯარო შეთავაზების საფუძველზე მოზიდული კაპიტალის კოლექტიური ინვესტირება კანონით გათვალისწინებულ მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში ან ლიკვიდობის მქონე სხვა ფინანსურ აქტივებში და რომელიც რისკის დივერსიფიკაციის პრინციპის საფუძველზე მოქმედებს.

12. რა სახის საინვესტიციო ფონდი ითვლება ქოლგისებრ საინვესტიციო ფონდად?

ქოლგისებრი საინვესტიციო ფონდი არის საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაყოფილია რამდენიმე, ერთმანეთისგან განცალკევებულ ქვეფონდად (პორტფელად), რომლებიც, როგორც წესი, ერთმანეთისგან განსხვავდება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (მაგ. საინვესტიციო პოლიტიკის მიხედვით).

13. რა შემთხვევაში ჩაითვლება საინვესტიციო ფონდი ღია საინვესტიციო ფონდად?

ღია საინვესტიციო ფონდად ითვლება ისეთი საინვესტიციო ფონდი, რომელსაც შეუძლია უწყვეტად გამოუშვას ერთეულები და რომლის ერთეულის მფლობელებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს მოითხოვონ საკუთარი ერთეულების გამოსყიდვა პირდაპირ ან არაპირდაპირ საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან, სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

14. რა შემთხვევაში ჩაითვლება საინვესტიციო ფონდი დახურულ საინვესტიციო ფონდად?

დახურულ საინვესტიციო ფონდად ითვლება ისეთი საინვესტიციო ფონდი, რომელსაც არ შეუძლია უწყვეტად გამოუშვას ერთეულები და რომლის ერთეულის მფლობელებს არა აქვთ უფლება, საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციამდე მოითხოვონ საკუთარი ერთეულების გამოსყიდვა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.



15. რა შემთხვევაში ჩაითვლება საინვესტიციო ფონდი ინტერვალურ საინვესტიციო ფონდად?

ინტერვალურ საინვესტიციო ფონდად ითვლება ისეთი საინვესტიციო ფონდი, რომელსაც შეუძლია გამოუშვას ერთეულები სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურითა და სიხშირით, მაგრამ სულ მცირე წელიწადში ერთხელ და რომლის ერთეულის მფლობელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საკუთარი ერთეულების გამოსყიდვა პირდაპირ ან არაპირდაპირ საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან, სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურითა და სიხშირით, მაგრამ სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

16. რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს უცხოური საინვესტიციო ფონდი იმისთვის, რომ საქართველოში შეძლოს აღიარების მოპოვება და მიეცეს საჯარო შეთავაზების განხორციელების უფლება?

იმისათვის, რომ უცხოურმა საინვესტიციო ფონდმა შეძლოს საქართველოში საჯარო შეთავაზების განხორციელება, იგი საჭიროა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ პირობებს:

- 1) იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც უცხოური საინვესტიციო ფონდი არის დაფუძნებული, ნებადართულია საინვესტიციო ფონდის ერთეულების შეთავაზება განუსაზღვრელი რაოდენობის გაუთვითცნობიერებელი ინვესტორებისთვის;
- 2) უცხოური საინვესტიციო ფონდი ავტორიზებულია/ლიცენზირებულია/რეგისტრირებულია განვითარებული ქვეყნის საზედამხედველო ორგანოს მიერ ან/და ექვემდებარება განვითარებული ქვეყნის საზედამხედველო ორგანოს რეგულირებას/ზედამხედველობას;
- 3) უცხო სახელმწიფო, სადაც უცხოური საინვესტიციო ფონდი არის დაფუძნებული, არ შედის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ დამტკიცებულ არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ქვეყნებისა და ტერიტორიების ნუსხაში;
- 4) საზედამხედველო ორგანოსა და შესაბამის უცხოურ საზედამხედველო ორგანოს შორის დადებულია თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება;
- 5) უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც ექვემდებარება უცხოური საინვესტიციო ფონდი, სულ მცირე ადგენს საქართველოში არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ეკვივალენტურ მოთხოვნებს, კერძოდ, საჯარო შეთავაზების განხორციელებასთან, ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან, მათ შორის პროსპექტის შინაარსის, ფორმატისა და გავრცელების შესახებ, ინვესტორთათვის განკუთვნილ საკვანძო ინფორმაციასთან, წლიურ და ნახევარი წლის ანგარიშებთან, აქტივის წმინდა ღირებულების გამოთვლასთან, დეპოზიტარის ფუნქციებთან და არსებობის შემთხვევაში ერთეულების შესყიდვა/გამოსყიდვასთან დაკავშირებულ პერიოდულობასთან და პირობებთან მიმართებით.



17. რა არის საჭირო უცხოური საინვესტიციო ფონდის მიერ საქართველოში კერძო შეთავაზების განხორციელებლად?

საქართველოში კერძო შეთავაზების განხორციელებამდე უცხოური საინვესტიციო ფონდი ან მის მიერ დანიშნული აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია შეთავაზების თაობაზე აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და წერილობით ან ელექტრონული სახით მიაწოდოს მას შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტები:

- 1) უცხოური საინვესტიციო ფონდის სახელწოდება, აგრეთვე მისი აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის სახელწოდება (მათი არსებობის შემთხვევაში);
- 2) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ უცხოური საინვესტიციო ფონდი ავტორიზებულია/ლიცენზირებულია/რეგისტრირებულია უცხოური საზედამხედველო ორგანოს მიერ ან/და ექვემდებარება უცხოური საზედამხედველო ორგანოს რეგულირებას/ზედამხედველობას;
- 3) უცხოური საინვესტიციო ფონდის მმართველი ორგანოს/აქტივების მმართველი კომპანიის ან ერთეულის მფლობელების გადაწყვეტილება საქართველოში კერძო შეთავაზების განხორციელების შესახებ;

ინფორმაცია უცხოური საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ.

18. ვინ მიიჩნევა გათვითცნობიერებულ ან გაუთვითცნობიერებულ ინვესტორად?

პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად მიიჩნევის საკითხს ამომწურავად აწესრიგებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის №223/04 ბრძანება. ის პირები, რომლებიც ზემოხსენებული კანონისა და ბრძანების შესაბამისად არ არიან აღიარებულნი/მიჩნეულნი გათვითცნობიერებულ ინვესტორებად, მიიჩნევიან გაუთვითცნობიერებულ ინვესტორებად.

19. ახორციელებს თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი ინიციატივით საინვესტიციო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის ავტორიზაციას/რეგისტრაციას/ლიცენზირებას/აღიარებას?

საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი ინიციატივით, სუბიექტის მიმართვის გარეშე, არ ახორციელებს არც ერთი სუბიექტის (საინვესტიციო ფონდი, აქტივების მმართველი კომპანია) აღიარებას, რეგისტრაციას, ავტორიზებას ან ლიცენზირებას. ამასთან, კანონის მოთხოვნათა დარღვევით აღიარების, რეგისტრაციის, ავტორიზაციის ან ლიცენზირების გარეშე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის პირს შეიძლება დაეკისროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

20. რა ტერმინების გამოყენება არ შეიძლება სახელწოდებაში, თუ პირი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს?

არავის აქვს უფლება, გამოიყენოს ტერმინები: „საინვესტიციო ფონდი“, „საინვესტიციო კომპანია“, „კოლექტიური საინვესტიციო სქემა“, „კოლექტიური საინვესტიციო ფონდი“, „ქოლგისებრი ფონდი“, „ქვეფონდი“, „UCITS“, „კერძო კაპიტალის ფონდი“ და „ვენჩურული კაპიტალის ფონდი“, აგრეთვე სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინების გამოყენებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონის შესაბამისად ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარების გარეშე.



21. შეუძლია თუ არა საინვესტიციო ფონდს საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში გასცეს სესხი/სესხები?

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, საინვესტიციო ფონდი, საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლებელია გასცემდეს სესხებს (Loan Originating Funds) ან ახორციელებდეს გაცემულ სესხებში ინვესტიციას (Loan Participating Funds).

საქართველოში რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდს უფლება აქვს, თავისი საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში, გასცეს სესხი, აგრეთვე განახორციელოს ინვესტიცია უკვე გაცემულ სესხებში. რაც შეეხება ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდს, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, UCITS-ს ეკრძალება სესხის გაცემა. იმავე კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სესხის გაცემა ეკრძალება აგრეთვე სხვა კატეგორიის ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდსაც, თუ საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღსანიშნავია, რომ, საერთაშორისოდ დამკვიდრებული შეხედულებითა და პრაქტიკით, საინვესტიციო ფონდი, რომლის ძირითად საინვესტიციო საქმიანობას წარმოადგენს სესხების გაცემა (Loan Originating Funds), მისი ლიკვიდურობის პროფილიდან გამომდინარე, როგორც წესი, უნდა დაფუძნდეს დახურული და არა - ღია ან ინტერვალური საინვესტიციო ფონდის სახით. ამ თვალსაზრისით, შედარებით ნაკლებად მკაცრია მიდგომა გაცემულ სესხებში ინვესტიციის განმახორციელებელ ფონდებთან (Loan Participating Funds) მიმართებით.

22. შესაძლებელია თუ არა ღია ან ინტერვალური საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით დაწესდეს, გამოსყიდვის შესაბამისი პერიოდისათვის, გამოსასყიდი ერთეულების ზღვრული ოდენობა (ე. წ. redemption gate)?

ღია/ინტერვალურ საინვესტიციო ფონდს არ ეკრძალება სადამფუძნებლო დოკუმენტით გაითვალისწინოს ერთეულების გამოსყიდვის იმგვარი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც დაწესდება გამოსყიდვის თითოეულ პერიოდზე გამოსასყიდი ერთეულების საერთო (მაქსიმალური) რაოდენობის შეზღუდვა.

აღნიშნული მექანიზმი ღია/ინტერვალური ფონდისათვის ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას აძლევს საინვესტიციო ფონდს გამოისყიდოს ერთეულები, გამოსყიდვის შესაბამის თარიღზე, არა უმეტეს წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობისა. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორთა მიერ წარდგენილი მოთხოვნები გამოსყიდვაზე აღემატება აღნიშნულ ზღვარს, საინვესტიციო ფონდი ინვესტორთა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს ზღვრის ფარგლებში, ხოლო მოთხოვნების ის ნაწილი, რომლებიც არ დაკმაყოფილდა, სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია გადატანილი იქნეს გამოსყიდვის მომდევნო პერიოდისათვის.

ამასთან, საინვესტიციო ფონდის მიერ დაწესებული ზღვარი გონივრული უნდა იყოს და იგი გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს ინვესტორთა მიერ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების განხორციელებას.



II. აქტივების მმართველი კომპანია

23. რა შემთხვევაში ითვლება აქტივების მმართველი კომპანია საქართველოში დაფუძნებულად?

აქტივების მმართველი კომპანია ითვლება საქართველოში დაფუძნებულად, თუ იგი კანონის საფუძველზე ლიცენზირებული ან რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კანონით სავალდებულოა პირის აქტივების მმართველ კომპანიად ლიცენზირება/რეგისტრაცია, თუ მას საქართველოში აქვს რეგისტრაციის ან მართვის ადგილი. ასეთ შემთხვევაში ლიცენზირება/რეგისტრაცია სავალდებულოა იმის მიუხედავად, არის თუ არა აქტივების მმართველი კომპანიის მართვის ქვეშ მყოფი საინვესტიციო ფონდი/ფონდები დაფუძნებული საქართველოში.

24. რა შემთხვევაში შეიძლება მართოს უცხოურმა აქტივების მმართველმა კომპანიამ საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო ფონდი?

თუკი უცხოური აქტივების მმართველი კომპანია გადაწყვეტს საქართველოში დააფუძნოს საინვესტიციო ფონდი ან/და მართოს საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო ფონდი, მან კანონის შესაბამისად უნდა მოიპოვოს აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკისგან.

25. რა უფლებამოსილებები ენიჭება ლიცენზიის მქონე აქტივების მმართველ კომპანიას?

ლიცენზირებულ აქტივების მმართველ კომპანიას ენიჭება უფლება, საინვესტიციო ფონდების მართვის (კოლექტიური პორტფელის მართვა) გარდა, როგორც დამატებითი საქმიანობა, განახორციელოს ინდივიდუალური პორტფელების მართვა, საინვესტიციო რჩევის მიცემა და საინვესტიციო ფონდის ერთეულების შენახვა და აღმინისტრირება. დამატებითი საქმიანობის განხორციელებისას აქტივების მმართველ კომპანიაზე გავრცელდება საბროკერო მომსახურების გაწევისათვის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

26. რა ტერმინების გამოყენება არ შეიძლება სახელწოდებაში, თუ პირი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს?

არავის აქვს უფლება, გამოიყენოს ტერმინები „აქტივების მმართველი კომპანია“ და „აქტივების მმართველი“ და სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინების გამოყენებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონის შესაბამისად გაცემული შესაბამისი ლიცენზიის, რეგისტრაციის ან აღიარების გარეშე.



III. სპეციალიზებული დეპოზიტარი

27. რა ფუნქცია აქვს სპეციალიზებულ დეპოზიტარს?

სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები იყოფა ორ ძირითად ნაწილად: საინვესტიციო ფონდის კუთვნილი აქტივების მიღება/შენახვა და საინვესტიციო ფონდის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება.

28. რომელ საინვესტიციო ფონდს უნდა ჰყავდეს სპეციალიზებული დეპოზიტარი?

სპეციალიზებული დეპოზიტარი მომსახურებას უნდა უწევდეს ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდს. კანონის თანახმად, რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდს არ ევალება ჰყავდეს სპეციალიზებული დეპოზიტარი.

29. რომელი სუბიექტი შეიძლება იყოს სპეციალიზებული დეპოზიტარი?

ავტორიზებული საინვესტიციო ფონდის სპეციალიზებული დეპოზიტარი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან სხვა ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ფინანსური ინსტრუმენტების შენახვის მომსახურება. სპეციალიზებული დეპოზიტარი შეიძლება აგრეთვე იყოს საქართველოს ეროვნულ ბანკი.

30. როგორ ინახავს სპეციალიზებული დეპოზიტარი გადაცემულ აქტივებს?

სპეციალიზებული დეპოზიტარისთვის შესაძლებელია გადაცემული აქტივები ექვემდებარება სეგრეგაციას სპეციალიზებული დეპოზიტარის კუთვნილი აქტივებისგან. კანონით იკრძალება აღნიშნულ აქტივებზე აღსრულების მიქცევა სპეციალიზებული დეპოზიტარის ან მისი ფუნქციების შემსრულებელი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე იკრძალება აღნიშნული აქტივების შეტანა სპეციალიზებული დეპოზიტარის ან მისი ფუნქციების შემსრულებელი მესამე პირის სალიკვიდაციო მასაში, მათ მიმართ გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში.

31. რას მოიცავს სპეციალიზებული დეპოზიტარის კონტროლის ფუნქციები?

სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია უზრუნველყოს:

- საინვესტიციო ფონდის ფულადი ნაკადების კონტროლი;
- საინვესტიციო ფონდის ერთეულების გამოშვებისა და გამოსყიდვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტთან და პროსპექტთან შესაბამისობის კონტროლი;
- საინვესტიციო ფონდის ერთეულის წმინდა ღირებულების გამოთვლის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტთან და პროსპექტთან შესაბამისობის კონტროლი;
- საინვესტიციო ფონდის ტრანზაქციების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტთან და პროსპექტთან შესაბამისობის კონტროლი და სხვა.



IV. ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

32. საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული რა ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებას აწესებს კანონი?

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ავტორიზებული/ადიარებული საინვესტიციო კომპანია, აგრეთვე აქტივების მმართველი კომპანია მისი მართვის ქვეშ მყოფი თითოეული ავტორიზებული/ადიარებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდისთვის ვალდებული არიან გამოაქვეყნონ შემდეგი დოკუმენტები:

- პროსპექტი;
- ინვესტორთათვის განკუთვნილი საკვანძო ინფორმაცია (KIID);
- წლიური ანგარიში;
- ნახევარი წლის ანგარიში.

33. რას წარმოადგენს ინვესტორთათვის განკუთვნილი საკვანძო ინფორმაცია (KIID)?

KIID არის მოკლე საინფორმაციო დოკუმენტი საინვესტიციო ფონდისა და მისი ერთეულების შესახებ, რომელიც ერთეულის შესყიდვამდე უნდა მიეწოდოს ავტორიზებული საინვესტიციო ფონდის ინვესტორს.

34. რა პერიოდულობით ქვეყნდება საინვესტიციო ფონდის ერთეულების გამოშვების და გამოსყიდვის ფასები?

ავტორიზებულმა/ადიარებულმა საინვესტიციო კომპანიამ ან ავტორიზებული/ადიარებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველმა კომპანიამ ერთეულის (ერთეულების) ყოველი გამოშვებისას ან გამოსყიდვისას უნდა გამოაქვეყნოს მისი (მათი) გამოშვებისა და გამოსყიდვის ფასები.

ღია საინვესტიციო ფონდის შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს სულ მცირე ყოველ 2 კვირაში ერთხელ. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია ეს პერიოდულობა 1 თვემდე გაზარდოს, თუ ამით არ დაზარალდება ერთეულის მფლობელთა ინტერესები.



V. მოსაკრებლები

35. რა ოდენობის მოსაკრებლის გადახდაა საჭირო საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციისთვის ან რეგისტრაციისთვის?

- საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის მოსაკრებელი შეადგენს 5000 ლარს.
- საინვესტიციო ფონდის რეგისტრაციის მოსაკრებელი შეადგენს 2000 ლარს.

36. რა ოდენობის მოსაკრებლის გადახდაა საჭირო აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირებისთვის ან რეგისტრაციისთვის?

- აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზიის მოსაკრებელი შეადგენს 3000 ლარს.
- აქტივების მმართველი კომპანიის რეგისტრაციის მოსაკრებელი შეადგენს 2000 ლარს.